ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10
2017 წლის 24 მარტი

ქ. ლაგოდეხი

,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ " ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №41 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 03/01/2017,010250050.35.167.016291).

მუხლი 2

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2017 წლის პროგრამაში განხორციელებული იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2017 წლის პროგრამის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს "გ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„გ) შშმ პირთა შრომითი, საგანმანათლებლო, სოციალური და სხვადასხვა ღონისძიებების ხელშეწყობა;".

2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2017 წლის პროგრამის მე-10 მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„13. ოჯახზე, რომლის წევრი საჭიროებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, გამოკვლევას ან სტაციონალურ მკურნალობას, თანადაფინანსების ან/და დაფინანსების სახით, ერთჯერადი ფულადი დახმარება არა უმეტეს – 700 ლარი. მკურნალობა დაფინანსდება მთლიანი ღირებულებიდან გამომდინარე, კერძოდ 1400 ლარამდე ღირებულების 50%-ით, ხოლო - 1400 ლარიდან ზევით - 700 ლარით;".

3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2017 წლის პროგრამის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„1. სოციალური დახმარების გასაცემად საჭირო თანხა გამოიყოფა მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე;".

4. ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №41 დადგენილების დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამის 2017 წლის ბიუჯეტი და რეალიზაციის ვადა

დანართი 2

№	დასახელება	სოციალური დახმარების მოცულობა /ლარი/		რეალიზაციის ვადა

		ერთ ბენეფიციარზე	სულ	
1	**უფასო კვების ობიექტის დაფინანსება**	**80000 ლარი**		**ბიუჯეტის გეგმის შესაბამისად**
2	**საზოგადოებრივი ჯანდაცვა**	**100 000 ლარი**		**ბიუჯეტის გეგმის შესაბამისად**
3	**სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება, მათ შორის:**	**130 000 ლარი**		
3.1	სამედიცინო კვლევებისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	არა უმეტეს 700 ლარი		პროგრამის შესაბამისად წელიწადში ერთხელ
3.2	ჰემო-დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა	100 ლარი		ყოველთვიურად
3,3	გაუსაძლის პირობებში მცხოვრებ ან სტიქიის შედეგად და უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა (ბინის ქირა)	არა უმეტეს 100 ლარი ყოველთვიურად		წლის განმავლობაში
3.4	ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახი, რომელსაც ჰყავს ერთი არასრულწლოვანი შვილი	8 ლარი ყოველთვიურად		პროგრამის შესაბამისად
3.5	ობოლი და მარჩენალდაკარგული ბავშვთა ოჯახი რომელსაც ჰყავს ორი და მეტი არასრულწლოვანი შვილი	12 ლარი ყოველთვიურად		პროგრამის შესაბამისად
3.6	მარტოხელა მშობელი, რომელსაც ჰყავს ერთი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი	8 ლარი ყოველთვიურად		პროგრამის შესაბამისად
3.7	მარტოხელა მშობელი, რომელსაც ჰყავს ორი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი	12 ლარი ყოველთვიურად		პროგრამის შესაბამისად
3,8	100 წლის და მეტი ასაკის მქონე მოხუცთა ერთჯერადი ფულადი დახმარება	500 ლარი		წელიწადში ერთხელ
3,9	უდედმამო ბავშვთა ოჯახი	50 ლარი		ყოველთვიურად
4	**უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის თანადაფინანსება**	**40 000 ლარი**		**ბიუჯეტის გეგმის შესაბამისად**
5	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ფულადი დახმარება.**	**20 000 ლარი**		
	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე			

5.1	პირთა	8 ლარი ყოველთვიურად		**პროგრამა სშესაბამისად საახალწლოდ ბავშვებისათვის ტკბილეულის პაკეტების შეძენა**
5.2	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ოჯახზე, რომელსაც ჰყავს ერთი არასრულწლოვანი შვილი 18 წლამდე	8 ლარი ყოველთვიურად		
5.3	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ოჯახზე, რომელსაც ჰყავს ორი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი 18 წლამდე	12 ლარი ყოველთვიურად		
5.4	შშმ პირთა შრომითი, საგანმანათლებლო, სოციალური და სხვა დასხვა ღონისძიებების ხელშეწყობა			
6	**მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა**	**95 000 ლარი**		
6.1	მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი, ფულადი დახმარება	400 ლარი		**წელიწადში ერთხელ**
6.2	მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც ცხოვრობენ საშიშ-გაუსაძლის პირობებში	არა უმეტეს 500 ლარი		**წელიწადში ერთხელ**
6.3	ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება პირველ და მეორე ბავშვზე	200 ლარი		**დაბადებიდან 6 თვის ვადაში**
7	**იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) დახმარება**	**10 000 ლარი**		**პროგრამის შესაბამისად**
8	სამშობლოს დასაცავად მებრძოლთა ოჯახებისა და ვეტერანების ინტერესების დაცვა	**დაკრძალვის სარიტუალო ხარჯებისათვის 250 ლარი**	**2000 ლარი**	**პროგრამის შესაბამისად**
	სადღესასწაულო ღონისძიებების დაფინანსება		**5000 ლარი**	**პროგრამის შესაბამისად**
9	**უკიდურესად გაჭირვებული ოჯახის წევრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ფულადი დახმარება (სარიტუალო ხარჯებისათვის)**	**250 ლარი**	**3000 ლარი**	**პროგრამის შესაბამისად**
10	**სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სათბობით უზრუნველყოფა დადგენილი ლიმიტის ფარგლებში**	**40 000 ლარი**		**პროგრამის შესაბამისად**
	სულ:		**525 000 ლარი**	

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	**ვახტანგ სარალიძე**